



თქვენ მოგემსახურებათ დელოიტიის საქართველოს ოფისის სატრანსფერო ფასწარმოქმნის გუნდი, რომელსაც აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება ამ სფეროში გადაწყვეტილებების შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით, როგორც ქართულ ასევე საერთაშორისო კომპანიებში სხვადასხვა ინდუსტრიიდან.

ქართული სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

2013 წლის დეკემბერში საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ხელი მოაწერა №423 ბრძანებას, რომელიც არეგულირებს სატრანსფერო ფასწარმოქმნის საკითხებს საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციების განხორციელებისას.

ქართული სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრინციპები ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2010 წლის სატრანსფერო ფასწარმოქმნის სახელმძღვანელოს მითითებებს მულტინაციონალური კომპანიებისა და საგადასახადო ორგანიზაციებისათვის. იგი არეგულირებს საერთაშორისო ტრანზაქციებს საქართველოს რეზიდენტ კომპანიასა და:

- ურთიერთდამოკიდებულ უცხოურ საწარმოს შორის;
- შეღავათიანი დაბეგვრის მქონე/ოფშორული ქვეყნის რეზიდენტ საწარმოს შორის, მიუხედავად მხარეთა ურთიერთდამოკიდებულებისა.

შიდა ოპერაციების სახეობები:

კონტროლირებულ ოპერაციები ძირითადად შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- საქონელთან დაკავშირებული ოპერაციები
- მომსახურება
- ინტელექტუალური/არამატერიალური ქონება
- ფინანსური ოპერაციები

საბაზრო პრინციპის მნიშვნელობა:

ქართული სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობის მიხედვით ურთიერთდამოკიდებულ მხარეებს შორის განხორციელებული ტრანზაქციისას საქონლის ან მომსახურების ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს იმ თანხას, რომელიც შეიძლება დადგენილიყო იმ შემთხვევაში თუ ეს მხარეები იქნებოდნენ დამოუკიდებელი.

სატრანსფერო ფასწარმოქმნის ოპერაციის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია

საგადასახადო ორგანიზებს უფლება აქვთ შეამოწმონ კონტროლირებულ ოპერაციებში გამოყენებული ფასების მიზანშეწონილობა და მოითხოვონ სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაცია გადასახადის გადამხდელისგან.

ფინანსთა მინისტრის №423 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაცია უნდა იქნას მომზადებული თითოეული კონტროლირებული ოპერაციისთვის და მოთხოვნის შემთხვევაში, წარდგენილ უნდა იქნას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში 30 კალენდარულ დღეში, ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

ვინ ისარგებლებს დელოიტიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის მომსახურებით: კომპანიები რომლებიც:

- მონაწილეობენ საერთაშორისო ტრანზაქციებში ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან ან ოფშორში/შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ კომპანიებთან;

- დაინტერესებულნი არიან, რომ შესაბამისობაში იყვნენ სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის მომზადების შესახებ რეგულაციებთან;
- დაინტერესებულნი არიან რთული კორპორატიული სტრუქტურის და შესაბამისად რთული სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგებით სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიზნებისთვის;
- დაინტერესებულნი არიან ეფექტური საგადასახადო, რეგულაციებთან შესაბამისობაზე ორიენტირებული სატრანსფერო ფასწარმოქმნის მენეჯმენტის განხორციელებით;
- დაინტერესებულნი არიან ჯგუფის შიდა ოპერაციებში ფასების რეგულირებით წარმოქმნილი საგადასახადო რისკების შემცირებით;
- დაინტერესებულნი არიან თავიდან აირიდონ ორმაგი დაბეგვრისა და დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების რისკები;
- დაინტერესებულნი არიან სატრანსფერო ფასწარმოქმნის პროცესებში ჩართული თანამშრომლების ფუნქციების ეფექტური განაწილებითა და ოპტიმიზაციით.

რატომ ახლა:

- სატრანსფერო ფასწარმოქმნა ჯგუფის შიდა ოპერაციების საკვანძო საკითხია და მისმა არასწორმა შეფასებამ შეიძლება მნიშვნელოვანი საგადასახადო შედეგები გამოიწვიოს;
- საგადასახადო ორგანიზების მხრიდან გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა კომპანიების სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხებს;
- თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში, საგადასახადო ორგანიზების მხრიდან გაძლიერებული ყურადღების პირობებში, აუცილებელია,



რომ კომპანიებმა გამოიყენონ საბაზრო ფასების მიდგომა კონტროლირებულ ოპერაციებში;

- სატრანსფერო ფასწარმოქმნის პროცესების დარეგულირება უმნიშვნელოვანესია კომპანიებისთვის, რათა თავიდან აირიდონ შეცდომები ფინანსურ ანგარიშგებაში, არ დადგნენ დამატებითი საგადასახადო ხარჯების წინაშე და არ მოუწიოთ მატერიალური შესწორებების შეტანა წლის დახურვისას;
- გრძელვადიანმა სატრანსფერო ფასწარმოქმნის დავამ შეიძლება დააზიანოს კომპანიის რეპუტაცია;
- საქართველო აქტიურად მონაწილეობს დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმაში, იმუშავებს რა სატრანსფერო ფასწარმოქმნის რეგულაციებს, რომელთა მიზანია გამჭვირვალობის ზრდა კორპორაციულ ოპერაციებში.

დელოიტის უპირატესობა

- დელოიტს აქვს ინდივიდუალური და კლიენტზე ორიენტირებული მიდგომა თითოეული პროექტის დროს;
- დელოიტს აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება სატრანსფერო ფასწარმოქმნის გადაწყვეტილებების განვითარებასა და დანერგვაში ქართული და საერთაშორისო კომპანიებისთვის;
- დელოიტის გადაწყვეტილებები ყოველთვის მორგებულია იმ ინდუსტრიის სპეციფიკურ მოთხოვნებზე, რომელშიც კლიენტი საქმიანობს;
- დელოიტის ხარისხი შესაბამისობაშია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან და სტანდარტებთან. დელოიტის

ოფისები მსოფლიოს გარშემო ერთობლივად მუშაობენ საუკეთესო გადაწყვეტილებების შემუშავებისთვის;

- დელოიტს აქვს მრავალი სახის საუკეთესო პრაქტიკა და შაბლონი

სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციისთვის, ჯგუფის შიდა ოპერაციების გამჟღავნების, საპროცენტო განაკვეთის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოთხოვნებისთვის და ა.შ.

კანონმდებლობასთან შესაბამისობა

- სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტაციის მომზადება/ განახლება ყველა სახის კონტროლირებული ტრანზაქციისთვის;
- ბენჩმარკინგის კვლევის და სატრანსფერო ფასწარმოქმნის მემორანდუმის მომზადება;
- სატრანსფერო ფასწარმოქმნის გადაწყვეტილებები კომპლექსური ფინანსური ტრანზაქციებისთვის;
- ქვეყნების მიხედვით ანგარიშგების მომზადებაში დახმარება.

დაგეგმვა და დანერგვა

- სატრანსფერო ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიის შემუშავება სხვადასხვა სახის ჯგუფის შიდა ტრანზაქციებისთვის;
- სატრანსფერო ფასწარმოქმნის კუთხით ტრანზაქციების ეფექტიანობის შეფასება;
- ჯგუფის შიდა ტრანზაქციების სტრუქტურის მონესრიგება მიწოდების ჯაჭვის გათვალისწინებით;
- კომპანიის სატრანსფერო ფასწარმოქმნის სტატუსის შემოწმება და გაუმჯობესების შესაძლებლობების მოძიება.



მონიტორინგი

- კონსულტაცია სატრანსფერო ფასწარმოქმნის ფუნქციებზე და ბიზნეს პროცესებზე;
- სატრანსფერო ფასწარმოქმნის მონიტორინგის ანგარიშის მომზადება.

დავების გადაწყვეტა

- სატრანსფერო ფასწარმოქმნის აუდიტის დროს მხარდაჭერა;
- სატრანსფერო ფასწარმოქმნის საჩივრის მომზადება და წარდგენა ფინანსთა სამინისტროსა თუ სასამართლოში;
- სატრანსფერო ფასწარმოქმნის დაცვითი სტრატეგიის განვითარება;
- საგადასახადო ორგანოსთან ორმხრივი შეთანხმების პროცესში მხარდაჭერა.

ჩვენი გუნდი



ვლადიმირ ელიზაროვი
პარტნიორი
საკონტაქტო ინფორმაცია:
+7 (495) 787 06 00, # 1128
velizarov@deloitte.ru



გიორგი თავართქილაძე
დირექტორი
საკონტაქტო ინფორმაცია:
+995 (32) 224 45 66, #5934
gtavartkiladze@deloitte.ge



ქეთევან კუხიანიძე
მენეჯერი
საკონტაქტო ინფორმაცია:
+995 (32) 224 45 66, # 5937
kkukhianidze@deloitte.ge



მიხეილი ჩაფურიშვილი
უფროსი კონსულტანტი
საკონტაქტო ინფორმაცია:
+995 (32) 224 45 66, # 5932
mchapurishvili@deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცე ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცე ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებული როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.